№ 14 19 იანვარი, შაბათი. 1866—1880 19 იანვარი, შაბათი. № 14

# დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

ერევნის მოედანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію Дроэба"-"Иверіи"

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს: | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოთ-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხელნაწერს მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ოთხშაბათს, 23 იანვარს

ქართულ ტრუპპისაგან

საზაფხულო თეატრში წარმოდგენილ იქნება

**ბენეფისი კ. მესხისა**

მონაწილეობას მიიღებს თ. აკაკი წერეთელი

I

**სკაპენის ცუღლუტობა**

მოლლიერის სამ-მოქმედებიანი კომედია გადმოკეთებული ქართულად თ. აკაკი წერეთლისაგან

II

**ბ უ ტ ი ა ო ბ ა**

ვოდევილი ერთ-მოქმედებათ თ. აკ. წერეთლისა

ანტრაქტებში:

1) უფ. ვ. აბაშიძე იმღერებს კომიკურ კუპლეტებს,
2) გაბუნიას ქალი იმღერებს ქართულ სიმღერებსა და
3) კ. მესხი წაიკითხავს იმერულ სცენებს.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსირთან და აზნაუროვის მაღაზიაში.

დაიწყობა 7½ საათზე

## ასათიანის მოკვლაზედ

—

თფილისი 17 იანვარს.

ასათიანის მოკვლის თაობაზედაც სწორეთ იმ ნაირად მოქმედობენ ზოგიერთები, როგორც მოქმედობდნენ ნინო ანდრეევსკის ქალის მოკვლის დროს; როგორც მაშინ დაასწრეს სასამართლოს და თავის გადაწყვეტილება გამოაცხადეს, როგორც მაშინ იკისრეს „სისხიკის“, როლი, ისეც ახლა. არა თუ ლიტერატურას, ჩვენის აზრით, კერძო კაცსაც არ შეშვენის ამისთანა უმადური როლის თავის-თავზე კისრვა, ამისთანა სულ-წასული მოქმედება.

კაცმა კაცი მოკლა. ამ მოკვლაზედ გამოძიება არის დანიშნული. მხოლოთ პოლიციისა და სასამართლოს საქმეა ნამდვილ დამნაშავის აღმოჩენა და ბრალდებულთა სკამზე დასმა ამ დამნაშავისა. მხოლოთ კეთილ სინიდისიან გამოძიებ ისა და ყოველის მხრით საქმის გაჩხრეკის შემდეგ, სასამართლოს, და არა სხვას ვისმე, შეუძლიან სთქვას:

„— აი ეს არის დამნაშავე! ეს უნდა იქმნეს დასჯილი!“

მართალია, შეიძლება გარეშე პირიც, ლიტერატურაც, რომელთაც ამ გვარ საქმის თაობაზე არავითარი გამოძიება არ მოუხდენიათ, არაფერი არ გამოუკვლევიათ, იქნება არც ერთი ხელ-მოსაკიდებელი საბუთიც არ ჰქონდეს, შეიძლება ეს გარეშე პირი და ლიტერატურაც არ შესცდეს ხანდისხან, როდესაც იტყვის—აი ეს არის ამ საქმეში დამნაშავეო! მაგრამ, ხშირად ისიც შეიძლება, რომ ის შესცდეს, რადგან, როგორც მოგახსენეთ, იმას გამოძიება არ მოუხდენია, თავის სიტყვის დასამტკიცებელი საბუთი არა აქვს, რადგან ის მოქმედებს ამ შემთხვევაში ისე, როგორც უსინათლო ოთახში რისიმე მაძებარი კაცი, უფაქტოთ, მხოლოთ თავის მოსაზრებაზედ და უსაფუძვლო რწმენაზე დამყარებული.

ჩვენ რომ იდეალური გამომეძიებელნი და მოსამართლენი გვყვანდნენ, მაშინ სულ სხვაა, მაშინ ამ გვარ წინადასწრებას სასამართლოსას, ამ გვარ წინათვე დამნაშავის მითითებას არავითარი გავლენა არ ექნება ჭეშმარიტების აღმოჩენაზედ. მაშინ მოსამართლენი ყურადღებას არ მიაქცევენ იმას, რასაც საზოგადოებაში ანუ ჟურნალ-გაზეთებში ამბობენ; მოსამართლენი მოიქცეოდნენ ისე, გამოიკვლევდნენ და გადაწყვეტდნენ ამ საქმეს ისე, თითქო არა იციან-რა, თითქო პირველად ცნობულობენ სასამართლოში ამ საქმეში.

მაგრამ უბედურებაც ეგ არის, რომ ჩვენი მოსამართლენი ისეთივე ხორცშესხმული ადამიანები არიან, როგორც ყოველი კაცი; საზოგადოების აზრს, ჟურნალ-გაზეთების წინასწარ მოსაზრებასა და მსჯელობას იმათზედაც ისეთი გავლენა აქვს, როგორც საზოგადოთ ყველაზედ, და ამის გამო ადვილად შესაძლებელია, რომ იმათ, თვით საქმის განხილვამდინ, გამოძიების გაცნობამდინ, შეადგინონ წინასწარი აზრი რწმენა რომელსამე საქმეზე, დანაშაულობაზე.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ დ. ჩხოტუას ფეხი არ უდგია-მეთქი ნინო ანდრეევსკის ქალის მოკვლაში; არც იმას ვამტკიცებთ, რომ ღვინიაშვილს ასათიანი არ მოეკლას. ამ ორ შემთხვევაში არც საზოგადოება და არც ლიტერატურა მოტყუებულა თავის წინასწარად გამოთქმულს აზრში, დამნაშავის პირ-და-პირ მითითებაში. ჩვენ ვამბობთ და ვამტკიცებთ მხოლოდ იმას, რომ ეს სისტემა ცუდი და მავნებელი სისტემაა; ჩვენ ვამბობთ, რომ პატიოსან და წინ-დახედულ კაცსა და გაზეთს არ შეშვენის ჯერ, სანამ ნამდვილი ფაქტები არ აღმოუჩენია სასამართლოს და ბეჯითად არ დამტკიცებულა ვისიმე დანაშაული, ქადაგება და ღრიალი, რომ „აი ეს

## ფელტონი

—

### სურვილი

მინდა, რომ ჩემსა სატრფოსა
ვხედავდე თ—სა
რომ ძალით ვერ აშინებდნენ
ვერც ნებით უხვევდნენ თვალსა!

—

მინდა, რომ მისი სახელი
გაისმას ძველებურათა
და მისიანნი ყველანი
ერთად სცხოვრებდნენ ძმურათა.

—

მინდა, რომ მისსა დიდებას
დამღერდეს რუსთველის ქნარი,
და ილვიძებდეს იმ ხმაზედ
ტაშის-კვრით ხალხი მძინარი...

—

მინდა, რომ... მაგრამ ეჰ, კმარა,
ფრთა შევაკვეცოთ სურვილსა,
თორემ რა მოჰკლავს უფსკრულსა
მამულის-შვილის წყურვილსა?!

აკაკი.

### განდევნილის სიმღერა

ვითა ნაკადი, მდის ცრემლი თვალსა
და გულსა მიწყლავს მწარე ნაღველი;
აღარ აქვს შვება ჩემს ბოროტ სულსა
და ღვთის სამსჯავროს მე შიშით ველი.

—

ვით მძინარესა ჰექა-ქუხილი,
ისე მაშფოთებს მე სინიდისი;
შხამათა მექცა ცოდვისა ხილი:
წუთი-სოფლისა ამო მეჯლისი.

—

ვითა დასჭკნდება მაისის ვარდი,
როს განშორდება ბულბული ნაზი,
მე ისე მადნობს ის ჩემი დარდი...
და სისხლსა მიშრობს,ვით გესლის თასი...

—

მაშინ მიშვილა უბედურობამ,
მაშინ მომეცა სულისა ვნება,
მაშინ დამკოდა მე ორ-გულობამ
როს დავარღვიე მშობლისა მცნება:

—

„—შვილო, გიყვარდეს მამული
ტკბილი,
„არ წაპილწო მისი ტაძარი...
„მოყვრისთვის გქონდეს შენ გული
ჩვილი
„და მშობლის მტერთა დაეც თავსზარი!“

—

ოჰ, რა ძნელია ცხოვრების ზვირთი,
არა-კაცურად თავის წარგება!
მაგრამ თუ კაცმა იგრძნო მის ტვირთი,
მას დაამშვიდებს ჟამთ-ვითარება!

—

ჰოი, სამშობლოვ, ჩემო მშობელო,
სინანულისა კარი გამიღე!
ჩემის სიმუხთლით დაობლებულო,
შენს საფარველსა ისევ მიმიღე!

ფრატე ალექსანდრე.

ნაშოლი, 11 იანვარს 1880 წ.

### შენ მაგონდები

(ვუძღვნი 6—ს)

როს სავსე მთვარე ლაჟვარდ ცის
ფერდზე
ბედივით წყნარათ ამოცურდება,
მას ვუწყებ ცქერას დაღონებული
და შენი სახე მომაგონდება

—

ოდეს მოწყენილ და გულ-დახშულსა
დარდებს მიშლიან მთის ნაკადები,
მაშინაც, ეფიცავ, ჩემო სულიკო,
შენს მეტი არ ვინ... შენ მაგონდები.

—

ოდეს მხურვალე, მაწუხებელი
დასავლეთისკენ მზე გადაწვება,
ვზივარ მე ჩრდილში დაფიქრებული
და შენი სახე სულ მაგონდება.

—

თუნდ იყოს ლხინი, დიდი განცხრომა,
ტაში, დაირა, დაფა-ზურნები,
არ შემიძლია ვისიამოვნო,
რადგანაც მუდამ შენ მაგონდები!..

გლ. მიქელაძე.

1879 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამნაშავე, სტაცეთ ამას ხელიო!" ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ამგვარის მოქმედებით ძალიან ადვილად შეიძლება, რომ კერძო პირმა და ლიტერატურამ დიდ შეცდომაშიც შეიყვანოს საზოგადოებაც და თვით მოსამართლენიც....

რაი რომ მიძინებულმა „ობზორმა" გამოჭყიტა თვალები და თავის ჩვეულებრივი ოინბაზობა და ჯამბაზობა დაიწყო, ერთი ნომერი არ გამოსულა თითქმის ამ გაზეთისა, რომ მოკლულის ასათიანის ქება-დიდება არ ჰყოფილიყოს და მკვლელის ღვინიაშვილის წყევლა, ქოლვა, ლანძღვა და მიწასთან გასწორება.—ასათიანი გამოჩენილი პედაგოგიც შეიქნა, ანგელოზის ხასიათიც ჰქონდა იმას, სამშობლო ქვეყნისათვისაც დღე-და-ღამე დაუძინებლად ზრუნავდა, უანგაროც იყო, დიდი მწერალიცა, შესანიშნავი მშრომელიც და სხვ. და სხვ. და ღვინიაშვილი კი ერთი რაღაც მხეცი კაცია, რომელმანც სულ ტყუილ-უბრალოთ, უმიზეზოთ მოჰკლა ეს გამოჩენილი ქვეყნისთვის თავ-გადადებული კაცი, რომელმანც იმდენი უმადურება გამოიჩინა, რომ ვერ დააფასა ასათიანის სიკეთე, რომელსაც ერთის სიტყვით კაცის გრძნობა და გული არა აქვს. და სხვ. და სხვ.

ნეტავი ვიცოდეთ—ვისთვის, რისთვის არის საჭირო ამნაირი გაზვიადება ერთის მხრით მოკლულის ღირსებებისა და მეორეს მხრით მკვლელის ცუდი ხასიათებისა? რა მიზანი უნდა ჰქონდეს გაზეთს, რომელსაც უბრალო მამაკვდავი ასე ცამდინ აჰყავს? და ან რა საჭიროა ყველას ეს დიფირამბები იმ დროს, როცა ჯერ გამოძიება არის და სამართლამდინაც არ მისულა საქმე?...

## ახალი ამბები

ჩვენ შევიტყეთ, რომ კავკასიის მთავარ სარდლის (ნამესტნიკის) თანაშემწედ ახლად დანიშნულს ღენერალ-ადიუტანტს თ. ლევან მელიქოვს ხვალ, 20 იანვარს მოელიან თფილისში.

* * *

კიდევ კუკიის სასულიერო სასწავლებლიდამ უწესოებისა და უკმაყოფილების ამბავი გვესმის. ემდურიან იმაზედ, რომ შაგირდები ისეთს მდგომარეობაში არიან თურმე, რომ ყველას შესჩივლებენ თავის გაჭირებას, არც საჭმელ-სასმელი, არც ტანისამოსი, არც სწავლა გვაქვს ხეირიანიო.

* * *

ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო ამას წინათ ის უწესოება, რომელიც ზომის სტანციაზე მოეხდინათ ამ სტანციის უფროსს, ღენსამე ყაზახ-რუსებს.

ამ ამბავში ცოტა შეცდომა მოგვსვლია: უწესოების მოხდენაში სტანციის უფროსი კი არ ჰრევია, არამედ იმის თანა-შემწე:

ამბობენ, რომ ამ უწესოების თაობაზედ გამოძიება არის დანიშნულიო.

* * *

თელავის უეზდის სოფ. ურიათ უბნიდამ გვწერენ, რომ ადგილობრივის მღვდლის მეცადინეობითა და ჩაგონებით სოფელმა გადაწყვიტაო, რომ თავისთვის შკოლა გახსნან და ნებართვაც უკვე მიუვიდათო. ხსენებული მღვდელი დაჰპირდა შკოლას ამ თავითვე ხუთი თუმნის შეწირვას.

ამას გარდა იქიდამვე გვატყობინებენ, რომ ამავე ქველ-მოქმედ მღვდელს განზრახვა აქვსო, რომ ხსენებულ სოფელში სასოფლო ბანკიც გაამართვინოს ხალხსაო.

* * *

შემდეგ ამბავს გვწერენ ფოთიდამ:

„ამ თვის 8-ს ერთი სამწუხარო და სასაცილო საქმის გარჩევა იყო ფოთის სასამართლოში:

„ახალ-წელიწადს დღეს, „ოტკასპირტიჩის" მოწყალეობით, ვოდოლაზებს მოსვლიათ ბუხტში ჩხუბი და რასაკვირველია, ერთმანერთი რიგიანად უტყეპიათ. ბოლოს ერთი მეორეს მორევია, გაჯავრებულს თავისი მებრძოლი აუყვანია ხელში და გახურებულს პლიტაზედ დაუბძანებია საჯდომით, ზედაც კარგა ხანს ხელი დაუჭერია, დაუტაბაკებია. ესეც არ უკმარებია: კბილით ცხვირი და ტუჩი მოუკვნეტია და ლოყაზედაც უკბენია.

„კარგი, რომ მალე მიშველებიან, თორემ თქვენი მტერი შესაჭმელათ სდომებია და კარგა თქვენი მოწონებული მოხრაკამდა ცხელს პლიტაზედ თავის მებრძოლს.

ამ საქმის მიზეზი სიმთვრალე ყოფილა, ორივემ აღიარეს და შერიგდნენ სუდში. პირველმა ახალი ტანისამოსი უნდა უყიდოს და 50 მან. ფული უნდა მისცეს დამწვარსა."

* * *

ფოთიდამვე გვწერენ, რომ ცუდი ამინდები ჯერ კიდევ თავს არ გვანებებსო. 9 იანვარს ამოვარდნილა ზღვიდამ ისეთი ქარი, რომ კინაღამ კაცს იტაცებდაო; მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ ქარი ისევ ჩავარდნილა.

* * *

დღეს, 18 იანვარს, ოთხი ფოჩტა ერთად მოვიდა რუსეთიდამ და საზღვარ გარეთიდამ.

* * *

ორი დღის შეჩერების შემდეგ წუხელ, 17 იანვრს, მოვიდა თფილისში ფოთიდამ მომავალი რკინის გზის მატარებელი პასაჟირებით. მოსულებმა დიდი გაჭირება გვიანბეს გზისა. ერთ საჟენზე მეტი თოვლი სძევსო, ათასი მუშა ადგია მუდამ დღე და სწმენდენო და სხვ.

## „დროების" კორრესპონდენცია

**ყაზბეგი ანუ სტეფან წმინდა, 4 იანვარს.** აქაური ხალხის გაჭირვებული ცხოვრება გეცოდინებათ: შესცქერიან მარტო ქვიან მთებს; მხოლოდ საკვებად სთესვენ ქერსა, ისიც იქნება მოუვიდეს სამი თვის სამყოფი და იქნება არა, დანარჩენ ცხრა თვეს რა უნდა ჰქნას? ყიდვას ფული უნდა, რომ მჭადით მაინც გამოკვებოს ჯალაბობა. ფული საიდამ უნდა იშოვნოს იმისთანა კაცმა, ვინც მარტოხელია? ვინც ძმობაში ერთად დგანან, იმათ არა უშავს, ზოგი მეცხვრეთ დგება, ზოგი ქირით ჩალვადრობს, დანარჩენი ოჯახს უვლის. აქ ას მოსახლეში ორმოცი მარტო ხელი არის და იმის გაჭირვებას ვერ წარმოიდგენს კაცი. კიდევ კარგი, რომ აქაური ქალები თითქმის ვაჟ-კაცს არ ჩამოუვარდება ოჯახის მოვლაში, მაგრამ მარტო ქალები რას გაარიგებენ?

მართალია მმართებლობას მიუქცევია ყურადღება და გადასახადზე თითქმის თავისუფალნი არიან ასე, რომ ეტაპის ფულს ხუთ შაურს იხდიან; ისიც ვიქონიოთ სახეში, რამდენიმე გზობა ბეგარა შეხვდებათ წელიწადში; ამას გარდა, როცა დიდი თოვლი არის და მთაზე გზა შეიკვრის, სამხედრო სამსახურის კაცებს (სალდათებს) სახლში ჩაუყენებენ თითო ოჯახს 15-დამ 20 კაცამდინ მინამ გზა გაიხსნება.

გზის კეთებაც ამათ აწევს კისერზედ, თუმცა ქირას სამ აბაზამდინ აძლევენ დღეში. მაგრამ ეგ დიდ არაფერს შეადგენს ამისთანა შრომასთან.

ამათი გაჭირვება კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ამისთანა ცივს მხარეში ღვინო არ მოდის და აქციზი შემოიღეს, არაყის გამოხდის ნება არა აქვსთ. ამისთვის ძალიან შეწუხებული არიან.

საშვალო ადგილად აქ ირიცხება სტეფანწმინდა, რომელსაც აკრავს ცხრა სოფელი; სიონის საზოგადოებას შეიცავს ექვსი სოფელი და ქსნის საზოგადოებაში ითვლება ექვსი სოფელი.

ამ სამ სამამასახლისოში, ოც-და-ერთს სოფელში ითვლება თითქმის ათას ხუთასი მოსახლე მცხოვრებნი.

ესენი თითქმის ისე რჩებიან, რომ სრულებით არ იციან წერა-კითხვა, მხოლოდ სტეფან-წმინდის საზოგადოებაში იპოებ ორმოციოდე, რომ იცოდეს წერა-კითხვა: ამათთვისაც უსწავლებია ერთს უბრალო მთავარ-დიაკონს, რომელსაც შინაურულად მოუკიდნია ხელი ამ კეთილი საქმისათვის 1867 წელს. ამ წელს დაუნიშნავთ სტეფან-წმინდაში მიხაილ მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში მთავარ-დიაკვნათ ნიკოლოზ ციბაძე, რომელმაც თავი გამოიჩინა საკვირველის ნიჭიერებით ბავშების სწავლებაში. ამ პატიოსანმა პირმა შესანიშნავის ზრუნვით და მეცადინეობით მიიზიდა აქაური გლეხების შვილები და შეძლებისამებრ სცდილობდა იმათ აღზრდას. მაგრამ ბოლოს ის გახდა მსხვერპლი უსვინდისო პირების მოქმედებისა: რაღაცა მიზეზებით სოფელმა მისცა საჩივარი, ზოგიერთი პირების ჩაგონებით, ამ ციბაძეზე, და ეს სასარგებლო პირი გადაიყვანეს ხევიდგან და ამდენი ბავშვები მოაკლეს ამისთანა ბეჯით მასწავლებელს.

რადგანაც ხშირად წამიკითხავს „დროებაში" წერილები შესახებ ძველ-მწერლობისა, ამისთვის მეც მქონდა სახეში, თუ კი რამეს შევხვდებოდი ამ ნაირ რამეს, მეცნობებინა თქვენთვის, რომ ისტორიის მასალებისათვის არ დაიკარგოს.

განსვენებულის ღენერალ-მაიორის მიხაილ ყაზბეგის ქვრივს კნეინა ელისაბედს აქვს ერთი შესანიშნავი სახარება ხელთ-ნაწერი, რომელიც არის პერგამანტზე დაწერილი ჩღიდ (1714) წელს. სახარება არის ვერცხლით მოჭედილი და ოც-და-თვრამეტი ზურმუხტი და იაგუნდი არის პირველ გვერდზე, მხოლოდ აკლია სამი თვალი იაგუნდისა. მეორე გვერდზე არის დახატული ჯვარცმის სახე, გარშემო ღვთის მშობლის და მარიამ-მაგდალინესი. ხუთი ვერცხლისა აქვს, მშვენიერ ყვავილების ჩუქურთმით დახატული. სახარების სიგანე არის ერთ ვერშოკ ნახევარი და სიგძე ორი ვერშოკი. ნაწერი არის სამ დიუმ სიგანეზე, განიყოფება ორ სვეტად, სიგძე ოთხი დიუმი არის დაიპყრობს თვრამეტ სტრიქონს. მთელი ეს მიკროსკოპიული სახარება თავისაგან ბოლომდი ერთნაირი ნაწერია და გარშემო ვარაყის არშია აქვს. ამას გარდა ოთხივ მხარე არის მშვენიერის კრასკით დახატული.

მოვიყვან იმ სიტყვებს, რომელიც უკანასკნელ სახარების გვერდზე არის დაწერილი:

„აწ საყვარელნო მამანო და ძმანო ჩემნო, რომელმანც მიემთხვინეთ წმიდათა ამათ ოცხრა თავთა, ლოცვასა და შენდობასაჰყოფდეთ კზ. პატრიარქს დომენტისთვის, რათა უფალმან შეგინდვნენ თქვენცა ცოდვანი თქვენნი.

„აღიწერა თვესა მარტსა 15 (იე) ქორონიკონსა (უბ) ქრისტეს აქეთ ჩღიდ 1714 წ.) ინდიქტიონსა პატრიარქობასა დომენტისასა (თ.) ხელითა ულირსისად დაბლად წოდებულის მაცხოვრებელისათა.

ყაზბეგის სტანციიდამ რომ გაიხედავ მარცხნით, ქვემო მთაზე არის ისტორიული ეკკლესია; როგორც ამბობენ, მეფის ბორგასლანის აშენებული არისო, მაგრამ თამარ დედუფლისა, ამბობენ, იმან აშენაო. ამ უფრო გარკვევით „ქართლის-ცხოვრებაში" არის მოხსენებული. ამ ეკკლესიას ეწოდება სამება; აშენებულია ბიზანტიის არხიტექტურით.

ამ ეკკლესიაში, როგორც ამბობენ, ძველი ხელნაწერი არისო. ამ რამდენიმე წლის წინეთ ეს ეკკლესია გაუქურდავთ. როგორც ჩვეულებაა ჰქონიათ მთის ხალხს, დეკანოზებს ჰბარებია საეკკლესიო ნივთები, მაგრამ ბლაღოჩინის სამატაძის განკარგულებით ჩამოურთმევიათ და შემდეგ გაუქურდავთ კიდეც. ამბობენ, ბევრი ნივთები აკლიაო. ამ სამი წლის წინათ სამატაძე ბლაღოჩინს თავის განკარგულებით ის ძველი ისტორიული მხატვრობა წაუშლევინებია და ახალი სხვა პორტრეტები დაუხატვინებია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხს ეს ძრიელ საწყენათ აქვს. სხვა არა იყოს რა, იმ დალოცვილმა ბლაღოჩინმა ისტორიულ პორტრეტებს მაინც რატომ არ მიაქცია ყურადღება. მინ იცის რა წარწერაები იქმნებოდა ზედ, რა საჭირო იქმნებოდა ისტორიის მასალებისათვის. ამისთანა მოქმედება ერთიც მცხეთის სობოროსი გავიგონე და მეორე ეს არის საჭიროა ამას ჩვენმა „არხეოლოგიურმა საზოგადოებამ“ მიაქციოს ყურადღება.

ამ ეკკლესიაში წელიწადში სამი ვზობა სახელდება წირვა: ფერის-ცვალებას, მარიობას და ღვთის-მშობლობას.

ა. ქ.

---

**ხაშური**, 16 იანვარს. მესამე დღეა, რაც თოვლმა გზა შეჰკრა ბექათუბანსა და ხაშურს შუა. ნურვინ იფიქრებს, რომ პოეზდმა გაიაროს ეს გზა, მანამ ქარი არ ჩადგება. აქ, ამ ადგილებში, ქარს უჭირავს პირველი ადგილი, იმის ნებაა, როცა სურს, მაშინ მისცემს გზას ორთქლით მატარებელს. ხუთასი მუშა დგას დღე და ღამ და სწმინდავს გზას.

მაგრამ ის დალოცვილი ქარი მზამზარეულ გაწმენდილ გზაზედ წამოუხვევს რაც მაღლა მთებში თოვლია და ჩამოჰყრის.

რა ჰქმნას კაცმა? სწმინდამენ და სწმინდამენ საწყალი მუშები გზას, თითქო ქარს ეუბნებიან: „უბერე რამდენიც გინდა, ჩვენ მაინც ვიმუშავებთ, მანამ არ დაიღალები.

დაბინდდება თუ არა, მუშები მიდიან შინ და ამათ ადგილას სხვები დგებიან. უფრო უარესი, უფრო უარესი სიცივე და ქარიშხალი.

ქარელსა და ხაშურს შუაც იმოდენა თოვლი ჩამოყარა, რომ მანამ მეორე ორთქლით მატარებელს არ მოუბამენ ქარელში, პოეზდი ვერ ამოაქვთ ხაშურამდინ.

აგერ, მზემ თავი გამოყო, თითქო გვეუბნებაო: „ნუ გეშინიანთ, მე აქა ვარ, ეხლავ დავადნობ მაგ თოვლს. მაგრამ ისევ წამოუბერა ქარმა, მიიტანა უშველებელი ღრუბელი—თოვლის დედა, და ჩამოაწვა პირის სახეზედ, თითქო მიაძახაო: „მაგას ამბობ, რატომ მე კი არასა მკითხამო“?

დღეს ასე ვართ ჩაბოჭილი თოვლისაგან და ქარისაგან ხაშურს და ბექათუბანს შუა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი; საქმე იმაშია, რომ კიდობანში პური აღარ გვიძევს; ფეხი ვერ გაგვიდგამს, თოვლში, დახრჩობის გვეშინიან და თუ ორმა დღემ კიდევ გასტანა ასრე თქვენი მტერი იყვეს..

ზ. Ս—ძე.

---

**სოფ. რუისიდამ**, 5 იანვარს. ზაღლილ ქრისტეშობისთვეში ხალხის ყრილობამ გადაწყვიტა და აღმოარჩია კიდეც ექვსი მზრუნველი რუისისის შკოლისათვის. ამ რიცხვიდგან მხოლოდ ერთია კეთილშობილთაგანი — ღენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე ქრისტეფორიძე მამაცოვი, რადგან ამის შემწეობის შკოლის სასარგებლოთ ცხადად ჰხედვენ დიდნიც და პატარანიც.

დანარჩენი ხუთი კი გლეხთაგანნი არიან.

ექვსი კაცი სასწავლებლის მზრუნველებათ, რასაკვირველია; მაგრამ რადგან სოფ. რუსის გარშემორტყმული აქვს სხვა პატარა სოფლებიც, ამიტომ, უეჭველია, იმათაც უნდა ჰყოლოდათ საკუთარი წარმომადგენელნი მათი ინტერესების დამცველი.

შესანიშნავია, რომ ყველა ეს აღმორჩეულნი პირნი არიან მოხელეებივე მამასახლისი და სუდიები. ამათ აღმორჩევის მიზეზი, რასაკვირველია, უსაფუძვლო არ იყო. „მაინც ამოშვებულები არიან ხარჯიდანო და გაპატივებულებიო და, თუ სუდიაობა ვანდეთ, უეჭველია, მაგ საქმესაც სხვაზედ უკეთესათ ეგენი წაიყვანენო“,—იყო ერთბაში ხმა და გადასწყდა მათი აღმორჩევა.

ამ ჟამად შკოლაშია 35 ყმაწვილი და მე ვგონებ, რომ ორმოც-და-ათზედაც მაღლა მალე ავა მათი რიცხვი.

ამათგან არც ერთი არ ურევია აზნაურთაგანი ყმაწვილი, თუმცა მსურველნი კი ბევრნი არიან. „სასწავლებლის ხარჯში არ მოგვიდგნენ, აზნაურები ვართო და ეხლაც ისევ აზნაურებათ ბძანდებოდნენო“; ამბობენ გლეხები. მე ვგონებ რომ ამგვარი სამწუხარო მაგალითი მხოლოდ ეს ერთი უნდა იყოს მთელი Თფილისის სადირექციოში.

ყრილობამ, სხვათა შორის, გადაწყიტა მადლობის გადახდა ღენერალ მამაცოვისა.

# რუსეთი

„საექიმო უწყება“ იწერება, რომ ამ ახლო ხანებში საერო ექიმების საზოგადო კრება გაიმართებაო.

—პეტერბურღიდამ იწერებიან, რომ პეტერბურღში მალე ახალი ყოველდღიური საპოლიტიკო გაზეთი დაარსდებაო, რომლის რედაქტორად უფ. Սიტოვიჩი იქმნებაო, ის უფ. Սიტოვიჩი, რომელმაც ამას წინად იმდენი ლაფი ჩამოასხა რუსული ლიტერატურის უკეთეს მოღვაწეთ.

— ხელმწიფე Იმპერატორს 132,000 მანეთი უბოძებია ქალაქ სევასტოპოლისათვის საქალაქო წყლის გამოსაყვანად.

— ერთ რუსულ გაზეთში იწერებიან, რომ კიევისა, ვოლინისა და პოდოლის გუბერნიებში სამართლის ახალი წესის დადგენა გარდაწყვეტილი საქმეაო და ამ წლის პირველ ნახევარს უნდა იყოს შემოღებულიო.

# უცხოეთი

**წვრილი ამბები**. 13 იანვარს, ჩვენებურად, პირველ იანვარს, საფრანგეთის პარლამენტმა იწყო თვისი წლევანდელი სესსია. ამ სესიას, როგორც უწინაც იყო მოხსენებული ჩვენს გაზეთში, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საფრანგეთის შინაგან პოლიტიკისათვის... ამიტომაც დიდი ყურადღება უნდა იქმნეს მიქცეული პალატთა მოღვაწეობაზედ. მაგრამ, სამწუხაროდ, გუშინ მოსულ გაზეთებში აღწერილნი არიან მარტო პალატთა პირველი სხდომები, რომელნიც, როგორც ჩვეულებრივად წინა-სხდომები, მარტო პალატთა გამგეობის წევრთა ამოსარჩევად იყვნენ გამართულნი. Ჯერ ის გაზეთები არ მოსულან, სადაც ნამდვილ საქის სხდომები უნდა იყვნენ აღწერილნი.

— პეშტიდამ იწერებიან 12 იანვარს: ხალხი სრულებით დამშვიდდა. Ჯარის უფროსი აცხადებს გაზეთებში, რომ სალდათებმა ესროლეს თოფი მარტო კუჩერს, რომელმაც მოკლა ერთი სალდათი და სამი სცემა მათრახით.

— ავსტრიის გაზეთი „ფრემდენბლატტი“ ამბობს, რომ ავსტრია სრულიად უარს ამბობსო ხონთქრის ზოგიერთა უფლებაზედ ჰერცეგოვინისა და ბოსნიის შესახებ. Თვით საქმით კი ეს პროვინციები ავსტრიი Იმპერიის ნაწილს შეადგენენო და შემდეგ ავსტრია სამფლობელო უფლებასაც შეიძენსო.

— სოფიიდამ იწერებიან პრაგის გაზეთებში 15 იანვრიდამ, რომ რუსეთის Იმპერატორის ოც-და-ხუთი წლის მეფობა ბოლგა რიელებსაც ჰსურთ იდღესასწაულონო. სოფიის ქალაქის რჩევა აპირებს წარუდგინოს Იმპერატორს მისალოცავი ადრესი.

Იმავე გაზეთებში იწერებიან ბელგრადიდამ (სერბიიდამ), რომ მომავალის თვის დამდეგს მთავარი მილანი აპირებს პეტერბურღში წასვლას Იმპერატორის ოც-და-ხუთი წლის იუბილეის მისალოცავათ.

— ერთ გაზეთში ბერლინიდამ იწერებიან ტელეგრამმას, 16 იანვრიდამ, რომ ევროპიის სახელმწიფოები ცდილობენ გაგზავნონ წარმომადგენლები ალბანიაში, რომ გამოიგონონ საშუალება, რაც შეიძლება მალე დაამშვიდონ ეს მხარე.

— პრაგის გაზეთებში იწერებიან პეშტიდამ (ვენგრიაში) 15 იანვრიდამ, რომ იქ აღელვება არ დაწყნარდაო. 14 იანვარს პოლიცია დამშვიდებას ცდილობდა, მაგრამ გამოცვინდნენ რამდენიმე ცხენოსანი სამოქალაქო ტან-საცმელით და დაუწყეს პოლიციელებს ცემა; ამის გამო გამოიყვანეს სამი ბატალიონი სალდათი დასამშვიდებლათ. სალდათებმა რამდენიმე თოფი გაისროლეს ხალხში, ორი კაცი დასჭრეს კიდეც. სხვა-და-სხვა კუთხეებიდამ რევოლვერების სროლა მოისმა, ჯარის უფროსებს ესროლეს. პოლიციის უფროსმა გამოსცა პროკლომაცია, რომელშიაც ამბობს ვითომ ამ არეულებაში დიდ მონაწილეობას იღებენ უცხო ქვეყნების მუშა-კაცნიო. გაზეთები თავიანთ მხრით ფათხილებენ ხალხს და უხსნიან თუ რა შედეგი მოელის ამ არეულებას.

— ვენის გაზეთებში იწერებიან, რომ პოლიციას ამბავი მოსვლია, ვითომც ამ არეულობის მოთავენი ცდილობენ რომელსამე ღამეს გააქრონ ყველა ფარნები და დააბნელონ მთელი ქალაქი. ამის გამო მთავრობას გაუგზავნია ერთი როტა სალდათი და ჟანდარმების ესკადრონი გასანათებელ გაზის რეზერვუარების დასაცველად. ეშინიათ, რომ კვირა დღეს არაფერი არეულება არ მოხდესო, რადგან მუშა-ხალხი მუშაობიდგან თავისუფალი არისო. ქარხნების მუშა-ხალხი ძალიან აღელვებულიაო.

— ბერლინიდამ იწერებიან 20 იანვარს, რომ ჟიულ-ფავრი გადაიცვალაო ამ ღამეს.

— სტამბოლიდამ იწერებიან ერთს ინგლისურ გაზეთში 13 იანვრიდამ, რომ მინისტრმა შეატყობინა ყველა Ოსმალეთის გაზეთების რედაკტორებს, რომ არ სწერონ არაფერი ცუდი Ინგლისზე და უფ. ჰანრი ლეიარდზე (ინგლისის ელჩი სტამბოლში), თუ უნდათ რომ არ დაიხუროს მათი გაზეთები და არ გადახდესთ არაფერი სასჯელი.

— ნემეცურ გაზეთში „პრესსში“ პრაგიდამ სწერენ 14 იანვარს, რომ აქ ამ დღეებში მოხდა სხდომა ნემეცური და ჩეხების პროფესორებისა. ამ სხდომაზე მოილაპარაკეს იმის თაობაზე, რომ ერთი ერთმანერთის შემწეობით დაედგინათ ჩეხების კათედრა უნივერსიტეტში. ნემეცის პროფესორებმა თანხმობა გამოაცხადეს და ამასთანვე გამოსთქვეს ის აზრი, რომ ისინი იბრძოლებენ იმის წინააღმდეგ თუ ჩეხები მოინდომებენ უნივერსიტეტის საშუალებით მიაღწიონ თავიანთ ნაციონალურ-პოლიტიკურ მიზანს.

---

## სამართალი

Თფილისის Ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში დანიშნულია შემდეგ პირების საქმეები განსახილველად:

19 იანვარს

1). თედო გოგრანიძესი—ბრალდება კარაპეტოვის გაქურდვა.

2). ეკატერინე მახანოვისა—ბრალდება ნება-დაურთველად არაყის გამოხდა.

21). იანვარს

1). ნიკო ხოხობაშვილისა—ბრალდება ლესხიჩის ყორღანოვის შეურაცყოფა, როდესაც ეს თავის თანამდებობას ასრულებდა.

22 იანვარს

1). ჯალალ ქიაზუმ-ოღლისა—ბრალდება ალ-მიხალ-ოღლის მოკვლა.

2). ზაქარია ელიაშვილისა და თედორე გიგოლაშვილისა — ბრალდებათ ტუსაღების გაშვება.

24). იანვარს

1). ზურაბა გორგაძისა—ბრალდება საველ ლუკოვკინის გაცარცვა.

26). იანვარს

1). კურბან ბაირამ-ოღლისა, გიგოლა აზნაურაშვილისა იოსებ კელენტარაშვილისა, რომელთაც ბრალდებათ თ. ჯორჯაძის გაქურდვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადებანი

—

## კერძოობითი

თფილისის ხელოსანთა კრების სტარშინების ბჭობა ამით აუწყებს უფ. წევრებს, რომ ამას იქით კვირაობით იქნება „ვეჩერები“ მუზიკით და საზანდარი აბდულ ბალირათი, ოთხშაბათობით კი მასკარადები იქნება. მომსვლელთ ამ სალამოებზედ უნდა გადაიხადონ ფასი: ქალებმა, როგორც მოყვანილთ წევრებისაგან ის სტუმრებისაგან თითო მანეთი, კაცებმა კი „ვეჩერებისთვის“ 1 მან. და 50 კაპ. მასკარადისათვის 2 მან. ფორმა ტანისამოსისა: სამხედრო კაცნი უნდა იყვნენ სერთუკით და ეპოლეტებით, ხოლო სამოქალაქონი შავის სერთუკით. მოტანციები ვალდებულნი არიან პერჩატკები ეცვათ.

დაიწყობა 8 საათზე, გათავდება ორზე. (2—1)

---

გრ. ჩარკვიანის ქართულ წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი **ახალი ქართული წიგნები:**

### ლექსნი თ. გრ. ორბელიანისა

მეორე გამოცემა დამატებით, თფილის 1878 წლის ფასი ექვსი შაური.

### მირიან მეფე და წმ. ნინო

შედგენილი დიმ. ბაქრაძისა, გამოცემული გიორგი ხუცის-შვილის-მიერ, თფ. 1880 წლის. ფასი ორი შაური.

### დაგალალუას საუბარი

სომხურიდგან ნათარგმნი გრ. წინამძღვაროვისაგან. გამოცემული გიოგი ზალიკანოვის-მიერ თფილისი, 1880 წლის. ფასი ერთი აბაზი.

### ქართული გამოცანაები

შეკრებილი თ. რაფ. ერისთვისაგან თფილისი, 1880 წლის. ფასი ორი შაური.

(4—1)

---

# ფთილისის სახელოსნო კლუბი

თფილისის სახელოსნო კრების (კლუბის) სტარშინების რჩევა სთხოვს უფალთ თავი წევრთა, მობრძანდნენ საზოგადო კრებაზედ, რომელიც იქნება შაბათს ამ 26 იანვარს სალამოს 7 საათზედ, ზოგიერთ ისეთ მძიმე საქმეების განსახილველად, რომელნიც კრებას შეეხებიან.

(4—2)

---

## სახაზინო

თფილისს გუბერნიის სამართველო (პრავლენიე) აცხადებს, რომ ამა 1880 წლის 8 თებერვალს დანიშნულია გაჭრობა (ტორგი) იმ სახელმწიფო ზვარის გასყიდვაზედ, რომელიც მდებარებს თელავის უეზდის სფ. კონდოლში და რომელიც შეიცავს 2, 200 ოთხ-კუთხ საჟენს. გაჭრობა დაიწყება 1, 200 მანეთიდამ. სამი დღის შემდეგ ხელ-მეორედ გაჭრობა იქნება.

(3—1)

---

კავკაზიის აქეთა მხრის პრიკაზი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1880 წლის 18 თებერვალს ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში გაისყიდება ქუთაისის მცხოვრების სალომე ყაუხჩოვის მამული სახლი რომელიც 5, 000 მანეთად არის დაგირავებული 1872 წლის პრიკაზში. ვისაც ამ მამულის დაფასებით სიის ნახვა ჰსურს, შეუძლიან ყოველგვარი ცნობები მიიღოს ქუთ. გუბ. სამმართველოდამ.

(3—1)

---

კავკასიის აქეთა-მხრის პრიკაზი აცხადებს, რომ ამ თებერვლის 4-ს გაისყიდება შემდეგ პირთა უძრავი ქონება (სახლები), თავის დროზედ პრიკაზის ვალის გადაუხდელობისათვის; სამის დღის შემდეგ ხელ-მეორედ იქნება გაჭრობა.

1). ამალია ვერჟბიცკის სახლი, თფილისში, 2 განყოფილების 11 უჩასტკაში, ელიზავეტის ქუჩაში, რომელიც ალ. ლიშინსკის ეკუთნის, 1871 წ. 4, 500 მან. და 1875 წ. 1, 250 მან.

2). ანნა როგოვენკის სახლი, თფილისში, 2 განყოფ. 11 უჩასტ. კორიჩნის ქუჩაზე, 1872 წ. 6, 000 მან., 1873 წ. 1000 მან., 1875 წ. 4, 315 და 1876 წ. 3, 000 მან.

(3—1)

---

კავკასიის პრიკაზში 11 თებერვალს ამ 1880 წ. იქნება გაჭრობა ქვემო მოხსენებულ პირთა უძრავ ქონების გასყიდვაზედ თავის დროზე პრიკაზიდამ აღებულის ვალის გადაუხდელობისათვის. სამი დღის შემდეგ ხელ-მეორედ გაჭრობა იქნება:

1). ივანე ბაბიევის სახლი 1 განყოფ. 2 უჩასტკაში, 1879 წ. 1, 400 მან.

2). მარიამ დემეროვის სახლი 2 განყოფ. მე-14 უჩასტ. 1870 წ. 300 მან.

3). თფ. მოქალაქის ასლან ოქროევის, 1 განყ. უჩასტკ. 1872 წ. 3, 750 მან.

4). თფ. მოქალაქის ხაბიბელა ალიბეგ ტრეგულოვის სახლი, ჩუღურეთში, 1875 წ. 4,400 მან. და 1877 წ. 1000 მან.

5) თფ. მოქალაქის გრიგორ თოროხოვის სახლი, ავლაბარში, 1875 წ. 1,200 მან.

6) იოსებ და გრიგორ აზნაუროვის სახლი, 1 განყოფ. 6 უჩასტკაში, დოქტორის და ნახმორის ქუჩებზე, № 271. 1878წ, 6,900 მან.

ვისაც ამ სახლების ჭყიდვა ჰსურს, დაწვრილებითი პირობა და აგრეთვე დაფასებითს სიები პრიკაზში ნახოს.

(3—1)

---

# რედაქციისაგან

დღეის იქით ყოველგვარი ტელეგრამმები დაიბეჭდება „დროებაში“ იმავე დღეს, რა დღესაც თფილისის დანარჩენ გაზეთებში იქნება დაბეჭდილი, და არა მეორე დღეს, როგორც აქამდისინ იბეჭდებოდა ხოლმე.

ამას გარდა „დროებაში“ დაიბეჭდება სახაზინო **განცხადებანი: საინტენდანტოსი**—სხვა-და-სხვა პოდრიადებისა (იჯარებისა), პოსტავკებისა და სხვ. და აგრეთვე **პრიკაზისა**—მამულების გასყიდვის თაობაზედ.

---

1880 წელს

# „დროება“-„ივერიის“

## გამოცემაზედ

1880 წლის 1 იანვრიდამ გაზეთი „დროება“ და ჟურნალი „ივერია“ ერთდებიან და იყოლიებენ ერთსა-და-იმავე საზოგადო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

გაზეთი „**დროება**“ გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოთ ფორმატი (თაბახის სივრცე) უფრო დიდი ექნება. ჟურნალი „**ივერია**“ კი გამოვა სამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი.

### ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში: „**დროება**“-„**ივერიის**“ რედაქციაში, ერევნის მეიდანზე, შუა-ბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: *Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“-„Иверія“*.

### ფასი

| | | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს.. |
|---|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“, ერთად | | — 13 მან. | — 7 მან. | —4 მან |
| ცალკე: | „დროება“ — — | — 9 „ | — 5 „ | —3 „ |
| | „ივერია“ — — | — 6 „ | — 4 „ | —2 „ |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ეღირება —5 კაპეიკი.
— — „ივერიისა“ — 2 მანეთი.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება“-„ივერიისა“ { თ. ილ. ჭავჭავაძე. სერ. მესხი.

---

15 ნოემბერს ამ 1879 წელს თფილისში დაიწყო თავის მოქმედება „**რწმუნებაზედ დამყარებულ ამხანაგობამ**“ ფირმით

სავაჭრო სახლი

# იაგორ ქასუმოვი და კომპ.

მიზანი ამხანაგობისა არის ყოველგვარ ადგილობრივ წარმებას დაეხმაროს.

**თავნი ფული ამხანაგობისა უნდა შესდგეს**

# 750,000 მანეთი

ეს ფული შესდგება პირველი რაზრიადის 1000 მანეთიანი პაებითა, რომელიც დანიშნულს ვადაზე უნდა შემოიტანონ და რომელსაც პრემია ეძლევა. მეორე რაზრიადის პაები, რომელთაც მხოლოდ დივინდენდი (სარგებელი) ეძლევათ, არიან 500 მანეთიანი, 100, 50 და 25 მანეთიანი.

**ამ-თავით ამხანაგობა შემდეგ ოპერაციებს დაიწყებს:**

1) ასესხებს ფულს იმ პირობით, რომ სესხის ამღებმა დანიშნულ ვადაზე ნაწილ-ნაწილად გადაიხადოს ვალი.

2) იყიდის და გაჰყიდის სარგებლიან გარანტიის ბილეთებს.

3) შესანახავად მიიღებს ფულს.

4) იკისრებს ისეთს სავაჭრო და საწარმოვო საქმეებს, რომლის შემწეობითაც ამხანაგობას მიეცემა ღონის-ძიება, რომ აუცილებელად საჭირო საგნები გაიაფოს თფილისში.

**ამხანაგობა მიიღებს:**

სესხისთვის, რომელსაც თვეობით გადაიხდიან 8% წელიწადში.
— — კვირაობით გადაიხდიან 7% წელიწადში.

**თვითონ აძლევს:**

1. **დროებით შეტანილს ფულში** უპირობოთ და პირობით } $4^1/_2$ პროცენტს.
2. **მოთხოვნამდინ შეტანილს ფულში** }
3. **ვადით შეტანილს ფულში:** 6 თვით — 5 პროც.
9 თვით — 6 „
1 წლით და მეტით — 7 პროც.

უმთავრესი კანტორა სავაჭრო სახლისა გაღებულია დილის 8 საათიდამ ნაშუადღევის 2-მდინ და სალამოს 6 საათიდამ 8-მდინ. უქმ დღეებში კი დილის 8 საათიდამ დილისვე 10-მდინ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Января 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი